

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი  
დაჭსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

გაოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული.  
ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი  
და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 2


1883—1899

30 იანვარი

ჩვენი სამღვდელოებისა და საზოგა-  
დოების საშუალებები

მ წლის პირველ №-ში ჩვენ, სხვათა  
მორის, მოვიხსენიეთ, რომ კარგი  
იქნება, ჩვენმა სამღვდელოებამ რაიმე  
კეთილი საქმით დაგვირკვინოს ეს  
მეცხრამეტე საუკუნისა და მემდევისათვის  
დავშირდით ამაზედ ბაბსის ჩამოვდებას.  
კარგილებით დანაშირებს. ვისაც კარგიდ  
მეტწავლია ჩვენი საქართველოს ხალხის  
ცხოვრების ისტორია, იმას, რახაკვირკველია,

კარგად კცით დინება, რომ სამღვდელოება თით-  
ქმის თვათეული საუკუნისა თავის მოსახსენებ-  
ლად სტოკებდა ისეთ დირს-სახსოვარ საქმეს,  
რომლითაც იგინი მემდევი მთამომავლობისა-  
გან სამუდამო კეთილ-ხსენებაში იუგნენ. ვანა  
დღეს კი არაფერი მოიპოვება ისეთი გასაკე-  
თებელი, რომ ამის განხორციელებით მართ-  
ლაც და მემლებოდეს ღირსეული ღვაწლის  
გაწევა მემდევი მთამომავლობისათვის?! რო-  
გორ არა! საქმე მორგალია, ოღონდ სურვილი  
იქნას მისი აღსრულების. ამ მემთხვევაში,  
სხვათა მორის, ჩვენ მიუთითებთ ჩვენს სამ-  
ღვდელოებას და ქართველ საზოგადოებას ერთ-



ერთ ნაკლებ, რომლის შესრულება სწორედ სასახელო, სასახლელო და სასიამოგზო რამ იქნებოდა.

უფროამ კარგად იცის, რომ ჩვენმა წმინდა მამანებმა: ევთიმემ, გიორგი მთაწმინდელმა და სხვათა ბევრი საღმრთო და საეკლესიო წიგნები გადმოსთარებნებს ბერძნული ენიდგან. წარმოიდგინეთ, რომ ამდენი საუკუნოები მიდის და ზოგიერთების დაბეჭდვა დღემდევ ვერ მოგვიხერხებია!.. ჩვენ გვულისხმობთ აქ გულვანს, თოვენს. მოვეხსენებათ კარგად, რომ დაბეჭდოლი გვაქვს მარტო გამოკიტილი თოვენი. სადღესასწაულო, და საზოგადო ითვენი მხოლოდ ორი-სამის თვის არის დაბეჭდილი. დღეს თითო-თოროლა დიდ მონასტრებშიდა არის დარჩენილი სრულ-ხელნაწერიდ, მოისპობიან თუ არა ეს ხელნაწერები, საუკუნოდ უნდა გამოვეთხოვთ ამ ვარ წიგნებს, რადგანაც გათიანებად აღმდეგენელი ძლიინ სეჭვათა რომ გასწოდეს ეს ლაბადნები, როცა იყო დოფინი ასე უკუდარებით მიდის. ჩვენ რომ ჩვენას გულუროთ და უოგებითების გაკეთება წიგნების ბეჭვის შესახებ სინოდის კანტორისაგან მოვითხოვთ. ჩვენის მხრით დიდი შეცვლა იქნება. სინოდალურ კანტორას ჩამეტნავად ბევრი საქმე აქვს და მას საშუალებაც არ ექნება ამისთანა წიგნების ბეჭვისათვის, სემდვევლოება და საზოგადოება არის მოვალე, იზრუნოს ამ საქმეზედ და დღეს, მართლაც და, უკეთები ხელს უწეობსთ მათ ამ წიგნის დასაბეჭდივად.

მღიერ ცოტა არის გასასეიდად დარჩენილი გამოკრებილი სადღესასწაულო, და ცოტა ხნის შემდეგ სინოდის კანტორა უნდა შეუდგეს ამ წიგნის ბეჭვის საქმეს. ეს წიგნი დღეს შვიდ-მანეთად იუიდება და ნაკლებ არც კი დაჯდება მისი დაბეჭდვა. მღიერ ადგილი მოსახერხებელია, რომ ამ გამოკრებილი «თოვენი»-ს მაგიერად, დაიბეჭდოს ვოცელი თოვენი, 12-ის თვისა, ამისათვის საჭირო იქნება, რასაკვირველია, თანხა არა ნაკლებ 15,000 მანეთისა, ეს ფული წინდაწინ შეუძლია შეაკროვოს სამღვდელოებამ გადალენიდგან, თუ ურთ წელში არა, ორ წელში მაინც. და ამ ნაირად, გამოკრებილი თოვენის ნაცვლად ჟოველ მებლესიას ექნება სრული თოვენი, და ეს ნაკლები ჩვენი საეჭვალესიო წიგნებისა შევსებულ იქნება სამუდამოდ. სხვათა შორის ჩვენი სამღვდელოება და საზოგადოება, ამაზედ უფრო სასახლო საქმეს ვერ დაუტოვებს შემდეგ საზოგადოებას. სრული იმედი გვატვის, რომ ჩვენი მომენტი და დანარჩენი შეგნებული წევრები საზოგადოებისა თანაგმობას გამოგვიცხადებენ ამ კითხვის შესახებ.

დეკ. დ. დამბაშვილი.



გარეგნობით კეთილ-მსახურების დაცვების მიზე-  
ზი ჩვენ ხალხში და მისი აფხაზები საშუა-  
ლებები.



კელასთვის ცხადია, რო ჩვენ, ქართველები, ლვის-მსახურებით თავს ვერ მოვიწონებთ; ეკკლესიაში იშვიათად დავა-არებით, ხშირ და ხანგრძლივ ლოცვით თავს არ ვიწყებთ, ტაძრების გაშვენებაზე ნაკლებად ვზრუნავთ, სასულიერო პირ-თაღმი ჯეროვანი პატივისცემა არ გვაქვს და საზოგადოდ საეკლესიო და სარელიგიო საქმეებში გულ-გრილობას და მცონარობას ვიჩენთ. ამ სამწუხარო მოვლენის დამახველს უნებლიერ დაებადება აზრი, ვითომც ჩვენ სუსტ სარწმუნოებისანი ვიყვნეთ, არ გვქონდესთ ცხოველი სიკარული ღვთისადმი; და მართლაც რო ასე ფიქრობენ ჩვენზე უცხოელები. მაგრამ ასეთი მსჯელობა ფრიად შემცდარი და უსამართლოა. ნუ თუ შეიძლება უწოდოთ მცირე მორწმუნე იმ ერს, რომელიც, როცა კი მას მარჯვე დრო ქონდა, ცო-ტად თუ ბევრად მოსვენებული იყო მტრებისგან, იგებდა მრავალ, დიდ და მშვენიერ ტაძრებს და მო-ნასტრებს, არამც თუ თვის სამშობლო ქვეყანაში არამედ სხვა ქვეყნებშიაც კი, პალესტინაში, სინაის და ათონის მთებზე, და, რა უფრო გასაცარია, აშენებდა ეკკლესიებს და სავანებს ისეთ მიუვალ აღვილებზე და კლდეებში, საღაც ახლა ჩვენ არამც თუ რამე შენობის აგება, არამედ ერთხელ ასკლაც კი გვიძელდება,—რომელიც თვის აღვილ-მამულს ეკკლესიებს და მონასტრებს უხვად სწირავდა და თვის წრიდან მრავალ ბერებს იძლეოდა, რომელიც გასაცავიფრებელ თავგამოდებით ითმენდა აურაცხელ ტანჯვა-წვალებას და თვისის სისხლით დედამიწას რწყავდა, რომელმაც ქრისტიანობა კვნესა-მოთქმით და სისხლის ღვრით მეცხრამეტე საუკუნის კარამდის შეუცვლელად მოიტანა. ისტორია ნათლად მოწმობს, რო ჩვენი წინაპარნი მტკიცე და შეუდრკელ სარ-

**სხოლით:** ამ სტატიის კითხვის დროს მყითხეველს უნდა ახსოვდეს, რო ჩვენ აქ მშოღლად გარეგნობით კეთილმსახურებაზე ვლაპარაკობთ, და არა რელიგიურ ზნეობრივ ცხოვრებაზე.

30.

წმუნოებისანი იყვნენ, და ჩვენ, მათ შვილებს, ამ რაოდენიმე თეულ წლებში ბუნება ისე როგორ შეგვეცვლებოდა, რო დაგვკარგოდა ის ძვირფასი თვისება, რომლითაც ჩვენი ხალხი 14 საუკუნის სივრცეზე თვალსაჩინოდ ირჩეოდა. ჩვენი მამა-პაპები ძლიერის სარწმუნოებისანი იყვნ და ესეთივე ძლიერი სარწმუნოება გაღმოვგვცეს ჩვენ. ჩვენს ხალხს ცხოველი სარწმუნოება აქვს, მას ღმერთი მხურვალედ უყვარს, ის გამსჭიალულია კრძალულებით მის ნებისადმი, მუდამ ღვთის სახელის ხსნებაშია, დაჯდება რა სუფრად თვალთ ზეცას აღაპყრობს, პირჯვარს გადაიშერს, ლვინის პირველ მიღებაზე პირჯვარს გამოისახეს და წარმოსთქვამს; დიდება ღმერთსა, ღმერთი შეგეწიოსთ, და უკანასკნელ ჭიქის დალევაზე იტყვის: ყოვლად წმინდა ღვთისმშობელი იყოს თქვენი მშყალობელი; ის მუდამ გაიძიხის ყოველივე ღვთის ნებაა, დაილოცა მისი სახელი, ყოველ სასიხარულო და სამშუხარო მოვლენათა თვის ცხოვრებაში ღმერთს აწერს; როცა კი შევა ეკლესიაში და ლოცვად დადგება გულ-მხურვალედ ლოცულობს, ხელებს გულ-მკერდზე იცემს, და ხმა მაღლა და-დადებს: უფლალო შემიწყალე.

დიალ, ჩვენი ერი კეთილ-მორწმუნეა, მხოლოდ  
იგი არ არის დაჩვეული თვის რელიგიურ გრძნობე-  
ბის ცხად-ყოფასა გამშვენებულ გარეგნობითა, ამა  
თუ იმ მოქმედებებითა ვრცლად, ქართველები მუდამ  
შევიწროებულ, სასტიკ მღვმარეობაში იყვნენ, ნა-  
მეტურ მეთოთხმეტე საუკუნიდან დაწყებული; მონ-  
გოლები, თათრები, ლეგები, ოსები, თურქები, სპარ-  
სელები და სხვანი ცეცხლითა და მახვილითა - იკ-  
ლებდენ და ანადგურებდენ მათ, განსაკუთრებით  
უკანასკნელები. თავზარდაცემულები თითქმის მუდამ  
გახიზნული იყვნენ, ყოველთვის მტრის თავზე დასხმის  
ლოდინში იყვნენ, მუდამ იმას ფიქრობდენ, თუ რო-  
გორ შეგებებოდენ მტრებს, განედევნათ იგინი და  
დაყვათ თვისი ეროვნება და სარწმუნოება. ცხადია,  
რო გამუდმებულ ომში მყოფ ქართველებს არც დრო  
და არც საშვალება არა ქონდათ ეზრუნვათ თვის ცხოვ-  
რების რელიგიურ მხარის განვითარებაზე, როგორც  
საზოგადოდ თვის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესო-  
ბაზე. ეკკლესიები ანუ მთლად დაქცეული, ანუ გა-  
ძარცულ-დაცალიერებული იყო, წირვა-ლოცვა შიდ  
იშვიათად სრულდებოდა; ამიტომ ხალხი იძულებული  
იყო დაკმაყოფილებულიყო იშვიათ ლვთის-მსახურე-

ბითა, წირვა-ლოცვის ხანდისხან მოსენითა, და იგი თვის რელიგიურ გრძნობებს გულშივე იმარხვილა. ასე ხდებოდა რაოდენიმე ხაუკუნის განმავლობაში, და ბოლოს ღრის ეს მოვლენა ჩვენ ერს შეესისხლ-ხორცა, ჩვეულებად გადაექცა, და ეს ჩვეულება და-ვიმკვიდრეთ ჩვენ მამ-პაპებასაგან. ახლა, როცა ჩვენ მყუდრო ცხოვრება გვაქვს, მტრებისგან თავისიუფალი ვართ, დრო არის ვიფიქროთ რელიგიურ განვითა-რებაზე, ჩვენ უნდა დავეჩვიოთ გონება და გულის ხშირად აღყრობასა ღვთისადმი ლოცვაში, თვის სულის კეთილ განწყობილებათა ცხადყოფასა გარე-გან ნიშნებითა და მოქმედებებითა, რადგან ესეთ გარეგან გამოხატვას ადამიანის ცხოვრებაში დიდი ძნიშვნელობა აქვს, ის ცხოველებს და აძლიერებს სულიერ მდგომარეობათა და კიდევ მას კეთილ ზედგავლენა აქვს გარშემო მყოფ ადამიანზედ, აქეზებს მათ ღვთის მსახურებისადმი. ამ საჭმეზე ჩვენ განათ-ლებულ მოძღვრებს თავდაპირველადვე უნდა ეზრუნ-ვათ, მათ უნდა შეეგნოთ, თუ რა დიდი მნიშვნელო-ბა აქვს სარწმუნოებრივ ცხოვრებაში რელიგიის გა-რეგან მხარესა, ხშირ წირვა-ლოცვის მოსმენას, მო-ნასტრებში სიარულს, პარაკლისის და პანაშვიდის გადახდას, სასწაულთ მოქმედთ ხატების ხალხში მი-ლებას და სხვათა და სხვათა. რო ყველა ამაებით სარწმუნოება უფრო ცხოველდება, ზეობა ფაქიზ-დება, გონება და გული ადამიანისა უფრო ძლიერად იწყებს აღმაფრენას ღვთისადმი. მაგრამ საუბედუროდ ისინი, ანუ შეცყრობილ არიან მცონარობის სენითა, ანუ გატაცებულ, არიან დამახინჯებულ ლიბერალურ აზრებითა და გაიძახიან, რა საჭიროა ხშირად ხელის ქნევა, მუხლის მოყრა; ცხოვნება გარეგნობაში კი არ არის, არამედ სულის სიშმიდეში, კეთილ-ზნეობა-ში, ღმერთი შინაგან განწყობილებათა უყურებს და არა გარეგან მოქმედებებს, ის თხოულობს, რომ ჩვენ მას ვემსახურებოდეთ სულითა და ჰეშმარიტებითა. ასე მეტყველობენ ჩვენი მოძღვრები და იმას კი არ აშჩევენ, რო ხალხი ხელიდან ეცლებათ. კვირა-უშე-დღეს ჩვენი ხალხი ეკალესიაში ყოფნას სახლში და დუქჩებში ლაზღანდარობას ამჯობინებს, იმერეაში კიდევ ნახავთ ორიოდე კაცს ეკალესიაში, ქართლ-კახეთში კი... ჩვენ ინტელლიგენციაზედ ხომ ლაპა-რაკი არ არის საჭირო, სწავლა-განათლება და ეკ-კალესიაში სიარული აბა როგორ შეეთანხმება ერთ-მანეროს. ეკალესია რო იქცეოდეს, ყურადღებას აც

არვინ მიაქცევს, საეკკლესიო ნივთები რო ლპებოდეს, ყურსაც არვინ გააფაჩუნებს. ჩვენის ერთი დაუდევრობა რელიგიურ ცხოვრებაში იქამდის მიზის, რომართლაც ეტვი შეგივათ მის ქრისტიანობაზე. ჩვენი მოძღვრები არ უნდა ივიწყებდენ იმას, რო ჩვენი ხალხი ახლა საფრთხილო მდგომარეობაშია; ის იღვიძებს გონებრივ ძილისაგან და ხარბად ეწაფება ყოველივე ახალს, რაც კი შემოდის ჩვენში განათლებულ ქვეყნებიდამ, ხოლო ყველამ იცის, რო უფრო ადვილად და სისწრაფით ვრცელდება ხალხში, ეს სარწმუნოების და ქრისტიანობის წინააღმდეგი თეორიები. ამას გარდა უნდა გვახსოვდეს, რო ჩვენი ხალხი მოყვარულია კრიტიკოსობისა და ადვილად შეიძლება, რომ იგი კრიტიკულად მოებყრას, ეკკლესიას და სარწმუნოებას. ამიტომ თუ ჩვენმა მოძღვრებმა ეკალესია და მისი წესები ხალხს დროითვე არ შეაყვარეს, მაშინ ის ანტირელიგიურ და ანტიქრისტიანულ მოძღვრებათა ზედგავლენით სარწმუნოებაზე და ეკალესიაზე ხელს ააღებს. ამ გვარად კეთილგონიერება მოითხოვს ჩაკირვებას ჩვენი ერთი რელიგიურ მდგომარეობაში, გამორკვევას, თუ რა საშუალებით შეიძლება ღვთის-მსახურების აღდგენა, თუ რა ლონისძიებით შესაძლოა ხალხის მიზიდვა ეკალესიისადმი. დავასახელოთ ზოგიერთი საშუალებები.

ପ୍ରକାଶନ

შემოგადი იქნება,

၁၉၈၂ခုနှစ်၊ ဧပြီလ၊ ၁၇၁၃၁၀

८५

თანამედროვე სამეცნიერო კურსები.

(ഡ. പ്രേരണാലോറ നൃത്യാടക ഗാന്ധി: „മരജ്വലയും“,  
„മരബുദ്ധി“ 1898 ഫ. നേ 1).

საზოგადოებრივი განვითარების ის საფეხური, რომელზედაც, დიდი ხანი არ არის, შედგა ჩვენი ერის ცხოვრება, შევვიძლია ამნაირათ დავახასიათოთ: ნერგვა ძეგლი სთოლეურ—ბატონ-უშური წეს-წევ-ბილების და გამეუჯინ ახალის ქალაქურ—„განიტალის-ტურის“, —სთოლის ძღვენა და ქალაქის თანდათან გა-ბატონის.

ის ბუმბერაზული ძალა, კაპიტალათ სახელწოდებული, რომელიც ჩვენ ევროპიდან მოგვეპლინა და ჩვენს ძველ ცხოვრებას ძირი გამოუხარა, დღესაც უმაღანდელის და უფროც მეტი სიძლიერით განაგრძობს თვის ულმობელ მუშაობას, თანდათან ცვლის ცხოვრების პირობებს, ბადავს ახალ მოთხოვნილებათ, რომელთ დასაქმაყოფილებლათ საშვალებებსაც ახალს გვაძებნინებს.

ამ ახალი ცხოვრების უმთავრეს მტვირთველათ, ტიპიურ გამომხატველათ და ტონის მიმცემლათ დღეს ქალაქი ხდება მთელი თვისი განვითარებით, წეს-წყობილებით და ზე-ჩვეულებით. იგი იზიდავს ყოველს გარეშე, არა ქალაქურს ელემენტს, უახლოვდება და იახლოვებს, თვის ელფერს დებს, თავისებურათ ქმნის. ეს მიმზიდველობით—გარდაქმნითი გავლენა ქალაქისა სოფლებზე ცხოვრებაში ასე გამოიხატა: ახალი ცხოვრებით გამოწვეული პირობები სოფლელს აიძულებს: ან სოფელი დატოვოს და ქალაქს მიაშუროს, ან, თუ რაიმე მიზეზის გამო ეს მოუხერხებელია, ძველი ზე-ჩვეულებანი მაინც უარყოს და ახალი დროის შესაფერი შეითვისოს... ერთი სიტყვით: სოფელი, თუ ქალაქი, სოფლურათვე დარჩენა, თუ გაქალაქებაო?—აი, ის არჩევანი, რომელსაც ჩვენ მხარეს ახალი დროება უყენებს და მოელი ერი მოძრაობაში მოყავს. მდიდარი გინდა თუ ლარიბი, ნაყმევი თუ ნაბატონარი, მმართველი თუ ქვეშვრდომი, ნაწავლი თუ უსწავლელი, — შეგნებულათ თუ შეუგნებლათ კველა ამ არჩევანში ჩამოულია, ამ საკითხს თან ატარებს, თვის მდგომარეობის და მისგან დამოკიდებული ინტერეს-შეხედულებათა თანახმათ წყვეტს მას თვის პრაქტიკულ ცხოვრებაში.

უეჭველია, ეს საყოველთაო საკითხი არც ჩვენს სასულიერო წოდებას აცდებოდა; უეჭველია, იგი ამასაც დროს შესაფერ პასუხს მოთხოვდა, ასე თუ ისე შეცვლიდა მის ძველ ცხოვრებას, შესაფერ სახეს დადგებდა მის აწმყოს და ტონს მიცემდა მომავალს.

და პირველი (ხრონილობიურათ) მოთხოვნილება, რომელიც ახალშა წყობილებაში ჩვენს სამღვდელოებას წამოუყენა და ქალაქისკენ მიახედვა იგი,—გახლდათ ახალი დროის შესაფერისათ შვი-

ლების „აღზრდა“. ძველი, დიაკვნურ-მონასტრული განათლება მისთვის ახლა საკმაო აღარ არის: მღვდელობასთან და მღვდელობის მისაღებათ მას ხალხის მასწავლებლობაც მოთხოვეს, სამშობლო ენასთან ერთათ—სახელმწიფო ენის ცოდნაც; სასწავლებელთა გასამართვათ კი ყველასათვის თანაბრათ დასამარი და თავისთავადაც სასწავლებლო ორგანიზაციისათვის უფრო მოხერხებული სამოქალაქო ცენტრები იქნა არჩეული. როგორც ვხედავთ, სწავლის საქმეში სოფელზე (მონასტრებზე და სოფლის „მწიგნობარ-მასწავლებლებზე“) ქალაქმა გაიმარჯვა. ამას კი თან ის მოჰყვა, რომ ჩვენმა სამღვდელოებამ თვისი განსაკუთრებული ყურადღება ნება-უნებლივი ქალაქს მიაჰყო. — მართალია, პირველ ხანებში, როცა ჩვენს სამღვდელოებას გამოუცხადეს: ამ ახალი ტიპის სასწავლებლებში შვილები აღზარდეთო, — ეს ბევრს ძალიან ეუცხოვა. აღმოჩნდენ იმისთანა მშობლები, რომელიც შვილებს მალავდენ და თან გაიძახოდენ: „ვის ყავს დასაქარგი შვილი, შვილებს ხელმწიფე წავარომევსო“, ან კიდევ: „რათ უნდა ჩვენ შვილებს „რუსულის“ სწავლა, განა მღვდლობას უამისოთ კი ვერ იშოვიანო?“ და სხვ. 1) მაგრამ ამგვარი ძახილი მხოლოთ დროებითი იყო, წარმავალი: ამას გაიძახოდენ მხოლოთ ის სასულიერო პირნი, რომლებსაც ქონებრივათ ჯერ საქმე კიდევ რიგიანათ ქონდათ მოწყობილი, რომლებშიაც, ამის წყალობითო, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ძველი შეხედულება შვილებზე— შვილი იჯახში უნდა იყოს, მუდამ მშობლებს უნდა უდგეს გვერდში და ეხმარებოდესო, საკუთარ მომავალზე კი ფიქრი კი მისი საქმე არ არის, ეს ყველაფერი მშობლებმა უნდა მოუწყონო; ამისათვის კი საკმაოა მშობელმა შვილს რაც შეიძლება ბლობათ დაუტოვოს ქონება— ადგილ-მამული, რომელიც, მაშინდელ პირობაზე, მათ გვარიანათ მოეპოებოდათ, ან შეეძლოთ ადვილათ მოეპოებით, — და თუნდ ესეც რომ არ ყოფილიყო, სამღვდელო ხარისხის მიღებაში საქმე „რძოვენობის“ იმედი ამნევებდათ და ნუგეშობდენ... ხოლო უმრავლე-

1) ეს ცნობები ჩვენ არა ერთგზის გაგვიგნია იშვირთაგან, რომელიც თვითონვე ყოფილას მსხვერწილდა შემობელთა ამგვარი ჯიუტობისა.

სობა კი შეგნებულათ თუ შეუგნებლათ იმ მოვლენის სიძლიერეს გრძნობდა, რომ ეს ძველებური „მზრუნველობა“ თავის შვილებზე, შვილების ოჯახზე მიჯაჭვულობა, ახალ პირობებში, არამც თუ ხელ-საყრელი, პირიქით, უფროც დამღუცველია როგორც შვილებისთვის ისე მშობლისთვის, — რომ, ამის გამო, საჭიროა შვილებს მეტი საშვალება მიეცესთ საკუთარს მომავალზე იჩრუნონ, რათა ცხოვრებაში მშობელთაგან დამოუკიდებლათ შეეძლოსთ თავის რჩენა, თავისის მერმისის რიგიანათ მოწყობაო, — ამისათვის კი, მშობლების მხრით, საჭიროა და საკმაო შვილებს დროს შესაფერისი აღზრდა, ცხოვრებაში გამოსადევი სწავლა-განათლება მიეცესთ, — ხოლო რაც საკუთრათ მღვდლის ხარისხის მიღებას შეეხება, ამისთვის მარტო „რძლვენი“ აღარ კმარა, და თუნდ რამენაირათ კიდევაც მიიღო იგი, მარტო ეს როდია საკმაო: საჭიროა, აგრეთვე, გარეშე წრეზე — შენს მრევლზე და ხელ-ქვევითებზე ცოდნითაც მაღლა იდგე, თუ არ გინდა „ბობოლათა“ სათელი, საცინათ ასაგდები შეიქნეო და სხვ. და მმ უკანასკნელმა, შეხედულებამ, როგორც მოსალოდნელი იყო გარემოებათა მხედველობაში მიღებით, კიდევაც გაიმარჯვა. დღეს ჩვენში ძნელათ შეხვდება კაცი იმისთანა სასულიერო ოჯახს, რომელსაც თავისი ვაჟი შვილები, და ზოგჯერ ქალიშვილებიც კი <sup>2)</sup>, სასწავლებელში არ მიყავდეს. გული სიამოგნებით ევსება ადამიანს, როცა ყოველ მარიობისთვის დამდეგს ჩვენ სასულიერო სასწავლებელთა კარმიდამოებს ახალ-მისაღებ ყმაწვილებით ხედავ გაქედილს... მაგრამ, მიჩერებისარ ამ ყმაწვილებს,

<sup>2)</sup> ოუმტა ამ შემთხვევაში ბეჭრს ქვედებური შექ-დედებისკან გადებ გერ დაუხსევია თავი. ბეჭრი შშობედა დდესაც შაშის თვალით უცქერის ქადაშვილების „გამო ზრდას: სასწავლებელში ჩვენი ქადაშ-დიდგუდებიან და „უბრალი“ საქმრთებს აღარ ქადრულობენ, ე. ი. ამ შემთხვევაშიც ჩვენს „მაქებს“ იგვე ქვედებური „მზრუნველობას“ უწევთ: ქადს მატომ „ზრდას“, რომ გათხოვება გაადვიდონ, თუ გაუადვალონ; ამ ასეს ანგეგნ თავის ქადებს ბაგშიძიანებებ, ეს უკნასებელნაც ფიქრობენ: ქადს გათხოვებას იქით გზა არა აქვთ, და რადა გასაკეირდია, თუ საბოლოოდ ერთხაც და მეორესაც საქმე სასწავლებლად.

უცქერი მათი მშობლების მზრუნველობით მოცულ პირისახეს და უნებურად გებადება ფიქრი, რომ ეს, ამდენი ახალგაზღობა, აქ, ამ სასწავლებელთა კარებზე, მხოლოთ არსებობისთვის ბრძოლამ მორეკა. დიალ — ბრძოლამ. რასაკვირველია, ეს თვითონ ამ ყმაწვილებმა არ იციან, შეიძლება, იმათხე უფრო გარევევით არც მათ მშობლებს ესმოდესთ, — მაგრამ, საკმაოა თვალიყური ადვენოთ თუ რა ამბობენ და რა იმედებით არიან ხოლმე აღფრთვანებული ეს უკანასკნელნი, როცა თავის შვილებს სასწავლებელში შესაყვანათ ამზადებენ, — და თქვენ ადვილათ დაგვეთანხმებით, რომ ჩვენს თანამედროვე სასულიერო მშობლებს (ისე როგორც საყოველთაოდ ჩვენი დროის მშობლოთ უმრავლესობას) სასწავლებლებში შვილის მიბარების დროს წინ უძღვის არა რაიმე წმინდა იდეალისტური, არც მაღალ-მიზნიანი მისწრაფება ჰეშმარიტ განათლებისაღმი, არამედ, საკმაოდ თვალსაჩინო ანგარიში და სრულიად რეალური გრძნობა თავის დაცვისა: „გამოიზრდება, სამსახურს გაიჩენს, თავსაც დაირჩენს და მეც მიპატრონებსო“. ასე სჯის ჩვენი თანამედროვე შვილის მამა... და უეპველია, საღაც მშობლების ინტერესი ასე მცირდოთა შეხავშირებული შვილის მომავალთან, იქ პარველი ყოველ ღონეს იხმარს, თავს არ დაიზოგას, რომ თავის შვილთა სწავლის საქმე ყოველი მხრით სასურველათ: მოწყოს, ე. ი. იმისთანა პირობებში ჩაყენოს, რომ მის შვილებს არც ტანმრთელობის მხრივ და არც „ზნებრივი გონებრივათ არა დაუშავდესთ რა“. ამის მისაღწევათ კი მას სამი გზა აქვს (ან უკეთ რომ ვოქვათ ამის მეტი ვერ გამოუქებნიათ): 1, ან, სხვა სამღვდელო პირებთან შეთანხმებით, თავიანთ შვილებს სასწავლებელთანვე საზოგადო ბინა გაუმართოს (როგორც მაგალითად, თბილისის, გორის და თელავის სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიაშია); 2, ხოლო საღაც ეს რაიმე მიზეზთა გამოჯერ-ჯერობით მოუხერხებელია [როგორც მაგალითად: იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიებში<sup>3)</sup>], — იქ საიმედო კერძო ოჯახები იშვილს

<sup>3)</sup> ამის მაზეზება: 1, აქაურ სასწავლებლებში მოწავლეთა სიმრავლე, რაც აქაურ სამდგედლოებას „საკრატო ბინას“ გასამართავად მეტად დიდ სარჯეს მოთ-

შვილის მისაბარებლად, ან და უკანასკნელ, ვ, თუ ესეც ვეღარ მოუხერხებია (რაც უფრო ხშირი მოვლენაა), თვითონვე დაუახლოვდეს იმ ქალაქს, სადაც შვილი ეგულვება, რათა ამ სახით მას სა-შვალება მიეცეს შვილებზე საქმაო ზედამხედვე-ლობა იქონიოს<sup>4)</sup> და, თუ შეიძლება, სამუდამო ბინაც შვილებთან გაიჩინოს, ე. ი. ქალაქს დაუ-ახლოვდეს, ქალაქში გამოძებნოს ბინა და სამსა-ხური.—აი, ერთი მხარე იმ ისტორიული პროცე-სისა, რომელმაც ჩვენი თანამედროვე სამღვდელო-ების ზრუნვა-მოქმედების ღერძი სოფლიდან ქა-ლაქისკენ გადახარა, ნახევრათ ქალაქისკენ მიმარ-თა მისი სული და გზლი.

ପ୍ରକୃତ ଶର୍ଦ୍ଦିଳାର୍ଥୀ ୯. ୩.

(შემდგენი იქნება),

A decorative horizontal flourish consisting of symmetrical scrollwork and a central floral or geometric motif.

ხევდა; 2, ოვითონ სისულიერ წოდების მატერიალურ  
ხელმიცვალება, ფასხობაში კი მოთხოვნილებათ შედა-  
რებითი სირთულე, და 3, პრინც ბინის და ხარჯის შე-  
დარებითი სიმარტივ-სიავე იმ ქალაქებში (ქუთ., სენაკი  
და აზურგეთი), სადაც ეს სასწავლებლები არან გამართ-  
ულია. მაგ., ქუთაისის სასწავლე, „სასელმწავე“ სარჯოე  
მოზარდ ემარწვილებს, სანამ იგინი ბანსინში ცხვრებ-  
დენ, თათოვეულს თვეში თორა-შეა რიცხვით, თუ არ  
გცდებით, 8—12 მან. ესარჯებდა; სხდა კა, რომ  
ნახსაონის გაუქმების შემდეგ, პრინც ბინებზე გადავა-  
დენ, 5—6 მ. კოფნისთ, თუმც სასწავლებლიდნ ხარჯის  
უფლეს ამაზე გადავიდებით მეტს ღამედოდებ.

4) ჩვენ ვიცნობდით ერთ სოფლას მდვდელს, რა-  
მედსაც თათქმის ათხი შვილი ყავდა ქუთ. სისულ. სის-  
წავლებულში, ასე რომ საფასხო ხარჯი მას ქალაქში  
უფრო მეტიც მაღიალა,—რას გამოც იგი იძულებული  
შეიქნა დოკებით მაინც (სანამ საზაფხულო კაზამენტის  
გათავდებულენ) მეუღლეოც ქუთაისში ეცნობა შვილე-  
ბის ურის-მგდებლად... როგორც გვარწმუნეს, მსგაცის  
მოგლენა კახეთის [თელავის სისულ. სისწ.). სამდვდელო-  
ბის ცხოვრების შიარ არა იშვიათი ეფუძნელა.

რაგ გვემინია სიკვდილის?

ପ୍ରାଚୀନ ଶାସକଙ୍ଗଳେ \*).

საფრანგეთის მეფემ ლიუდოვიკ IX ჯვაროსან-  
თა ომის დროს კართავენის მახლობლად იგრძნო  
სიკვდილის მოახლოვება. მოიხმო მან მოსამსახურე-  
ები, დაასობინა ჯვარი მინდორში და ოვითონ მის  
წინ წამოწვა, დააწყებინა ერთს ქვეშევრდომს საღმოო  
წერილის კითხვა და ოვითონ გულ-შეურვალედ  
ლოცვილობდა, შემდეგ მოსამსახურეთ პირნათლად  
და გულმოდგინედ სამსახურისთვის მადლობა შესწი-  
რა, რქვე დაადო ხელი თავისს მეტკვიდრეს და მისცა  
დარიგება, რომ მას ყოველთვის აღესრულებია  
ღვთის მცნება და სამეფოს მართვაში სიმართლე  
დაეცვა, ბოლოს ააპრო ხელები მაღლა და ლოც-  
ვაში განუტევა სული, დამსწრეთ უკვირდათ, რომ  
მეფეს სრულებით არ შესცვლია გუნება და მხიარუ-  
ლი ხასიათით შეხვდა უკანასკნელ წუთსო. ასეთი მა-  
გალითების მიზეზათ უნდა ჩაეთვალით მხოლოდ  
სარწმუნოების გავლენა კაცის სულიერ მდგომარეო-  
ბაზე; სწორეთ ჭრიშმარიტ სარწმუნოებას შეუძლია  
ასე გაამხნეოს კაცი და ყოველი ჯნება, რითაც სავ-  
სეა კაცის ბუნება, სრულიად დაიმორჩილოს. ეს არის  
მიზეზი, რომ პირველ საუკუნოებში არ ეშინოდათ  
სიკვდილის და დღეს კი, როგორც გხედავთ, სიკვ-  
დილის ძლიერ ეშინია უმეტესობას. რა უნდა იყოს  
ამის მიზეზი? როგორც ზემოთ ვსთვით, უნდა შე-  
ხდოთ, რა პირობებით არის გამოწვეული ეს გრძნო-  
ბა ქალა?

რა არის სიკვდილი? ეს კითხვა ისე ცხადად  
არის ეხლა ჩვენი გონების წინ დასმული, როგორც  
უწინ იყო, მხოლოდ ეხლა მეტი საშუალებაა მის  
გასარჩევად და გადასაწყვეტილ. ამ კითხვის ასახსნე-  
ლად კაცი ერთი მხრით მეცნიერებას, ამ უკანასკნე-  
ლი საუკუნოების ნაყოფს და დიდებას ეკითხება და  
მეორე მხრით სარწმუნოებას. აი რა პასუხს იძლევა  
მეცნიერება ამ კითხვაზე. სიკვდილი, ამბობს მეცნი-  
ერება, არის შექერება და სრულიად მოსპობა მოძ-  
რაობისა სხეულშით. სიცოცხლე, როგორც მოძრა-  
ობა სხეულისა, სიკვდილის შემდეგ ისპობა, სხეული

<sup>\*)</sup> იხილე „მწყევესი“ № 1, 1898 წ.

კი სხვა-და-სხვა ნაშილებათ იხსენებათ. ამ გვარი პა-  
სუხიძენ ცხადია, რომ სიკვდილი ყოფილი კაცის  
სრულიად მოსპობა. სულ სხვა პასუხს იძლევა ამ  
კითხვაზე სარწმუნობა. სიკვდილი, ამბობს სარწმუ-  
ნოება, არის შეკველი კაცის მდგომარეობისა, ერთი  
ცხოვრების ბოლო და მეორეს დასაწყისით; ის საზ-  
ღვარია ქვეყნიური, დროებითი და მომავალი საუ-  
კუნო ცხოვრებისათვის. აქედან ცხადათ სჩანს, რომ  
სიკვდილის შემდეგ არ ისპობა კაცის ასებობა. რო-  
გორც ვხედავთ, ეს ორი სულ სხვა-და სხვა გვარი  
პასუხია. პირველ პასუხს მეცნიერება ამტკიცებს ბუ-  
ნების მეტყველებით და პირდაპირი მსჯელობით; მე-  
ორე პასუხს კი ფსიხოლოგიური მოსაზრებანი და  
არწმენა აქვს საფუძვლათ, ასე რომ იდვილად ვერ  
იტყვის კაცი, საით არის სიმართლე. აქედან ჩდება  
ეჭვი და აზრის რყევა და მათი შედეგი კი კაცის  
გამოურკვეველი სულიერი მდგომარეობაა. ამ ეჭვი-  
ანობის მიზეზია, რომ ეხლა უმეტესობას ვერ გადა-  
უწყვეტია თავისი გონებით, რა არის სიკვდილი, ვერ  
შეუდეგნია მის შესახებ ერთი გარკვეული შეხედუ-  
ლება, ის კი, რომელიც ჰეშმარიტმა სარწმუნოებამ  
დაამყარა და გაავრცელა ხალხში, ეჭვიანობამ შეარ-  
ყია და ამიტომაც ბერებს არც ჰო და არც არა ჩემება  
ჰქუაში. ამ ეჭვიანობას თან მოსდევს უიმედობა,  
სურვილის და ცნობის მოყვარეობის დაუკმაყოფილე-  
ბა, აქედან იბადება ბერ-გვარი ცუდი სულიერი  
მდგომარეობა, რაც კაცს სიამოენებას უკარგავს და  
ცხოვრებას უმშარებს. დღესაც მხოლოდ სარწმუნო-  
ებაში ჰპოებს კაცი იმედს, ნუგეშს და სულიერ საზრ-  
დოს; დღესაც ჰეშმარიტი სარწმუნოება აკმაყოფი-  
ლებს კაცის სულიერ მოთხოვნილებას და ერთად ის  
ჰპენს სხივს ამ წუთი სოფლის გარამს და ტანჯვას. ეჭვიანობა კი უსუსტებს კაცს სარწმუნოების გავ-  
ლენას, თუმცა სრულიად არ უსპობს მას. ყოველს  
ეჭვს გარეშე, რომ რამდენათაც უფრო ღრმათ აქვს  
კაცს გულში დანერგილი სარწმუნოება, იმდენათ ის  
უფრო უშიშარია სიკვდილის. დღესაც სარწმუნოე-  
ბით გამსჭვალული კაცი სულგრძელად ჰპვდება სიკვ-  
დილის, რის მაგალითებაც უფრო ხშირად სოფლელ-  
თა შორის ვხედავთ. ცხადია, რომ სიკვდილის უში-  
შარია მხოლოდ ღრმად მორწმუნე კაცი! სარწმუ-  
ნოებაში იყო და არის უმთავრესი ძალა და იარაღი  
სიკვდილის წინააღმდეგ თავის გასამნევებლად. კაცის  
ჰქუა-გონებამ ვერა ნახა რა ისეთი საშუალება, რო-

გორსაც სარწმუნოება გვიჩვენებს. — სარწმუნოება  
აძლევს კაცს იმედს და ამის შედეგია სულიერი ძალა.  
ვისაც იმედი და სასოება ღრმად აქვს დანერგილი  
გულში, მას ვერც ცხოვრების ვითარება აშინებს და  
ვერც სიკვდილი. ეხლა თუ სიკვდილი მეტ შიშს  
იწვევს, ეს პირდაპირი მიზეზია იმაზე წარმოდგენი-  
ლების შეკვლისა და იმედის დაკარგვისა, რაც შე-  
დეგია რწმენის სისუსტისა. სარწმუნოების სისუსტე  
და ხშირად ურწმუნოებაც მეცნიერებს ემჩევათ,  
მაგრამ სიცოცხლის ბოლოს ისინიც უშეტესად სარ-  
წმუნოებაში ეძებენ სიკვდილის წინააღმდეგ საშუა-  
ლებას, ამას გვიმტკიცებს მათი სიკვდილის წინ წა-  
მოთქმული უკანასკნელი სიტყვები. ეტყობა, რომ  
მეცნიერებაში ნახული საშუალება ვერ ყოფილა  
საიმედო! სჩანს, რომ სიკვდილის მოახლოვების დროს  
მეცნიერებისგან ნაჩვენები იარაღი ჰკარგავს ძალა!  
საკვირველია, რომ როცა კაცი კარგათ არის აზრის  
გავლენით მაგრად და მხნედ გრძნობს თავს, მაგრამ  
როცა კი მოახლოვდება მოულოდნელათ ის უკანა-  
სკნელი წუთი, მაშინ აზრს ძალა ეკარგება, შისი  
გავლენა სუსტდება და გული ისევ სარწმუნოებაში  
ეძებს დამამშვიდებელ საშუალებას.

ტ. ჯაფარიძე.

დავით გარეჯელის პონატეტე  
და ცხოვრების აღწერა დავით გარეჯელის.

დავით გარეჯელის მონასტერი მდებარეობს  
სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ თბილისიდან, მთის მაღ-  
ლობზე, მდინარე მტკვარსა და იორის შეუ, ყარა-  
იაზიდამ მარცხნით, იოანნე ნათლის მცემლის მონას-  
ტრიდამ ათ ვერსზე. იმ მთის მაღლობზე, სადაც  
დღეს მონასტერია აგებული, მდინარის წყალი სრუ-  
ლებით არ იშვივება. მდინარის წყალს მოკლებულია  
აგრეთვე მთელი ყარაიაზის მიღამო, სადაც ამიტომ  
არავითარი მცენარეობა არ მოიპოება, გარდა მტკვ-  
რის ნაპირებისა. ყველა ამ ადგილებში ზაფხულობით  
მომეტებულად ცხელა, ხოლო ახალ გაზაფხულზე,  
შემოდგომაზე და ზამართობით ამ ადგილებში დემურ-  
ჩილდელი თაორები აძლებენ თავიანთ საქონელს.  
იმ ადგილს, სადაც დღეს დავით გარეჯელის მონას-

ტერი მდებარეობს, საქართველოში ქრისტიანობის  
გავრცელების დღიდგან, სკოლების დღიდნენ ბერ-მონაზო-  
ნი. უმთავრესი უდაბნოს დამარსებელი ითვლება  
ერთი იმ ათ ცამეტ სირიელ მამათაგანი, რომელნიც  
მე-**VII** საუკუნეში მოვიდნენ სირიიდგან, სახელდობ  
ლირის დავითი, რომელიც პირველად ცხოვრებდა  
მთა-წმიდის მთის მაღლობზე, თბილისში, შემდეგ კი  
სამუდამოდ დაბინავდა გარეჯის მთებზე. დავითის  
სავანე შეიქნა სკოლად, საიდამაც ამ წმ. მამის მო-  
წაფენი დაბინავდნენ გარემო ადგილებში და ამ სახით  
დაარსეს თერთმეტი უდაბნო და სახელდობრ: ადგ-  
გოშის მოწამეთა უდაბნო, ბერთუბანი, წმ. დოდეთა,  
იანინე ნათლის მცემლისა, ჩიხეიტურისა, თეთრ-სენაკე-  
ბი ანუ იეთრი ბერ-მონაზონთა საცხოვრებელი სისლი,  
მაგაზინი ანუ მდვიმე, ე. ი. გამოქვაბული, კოდაგერა,  
მოხეიტური, ვერან გარეა და შირუეჭვარი. ყველა ეს  
უდაბნოები გამოქვაბული არიან კლდეებში. რად-  
გან აქ წყაროს წყალი არ იშოვება, ბერ-მონაზონი  
ხმარობენ წვიმის წყალს, რომელიც გროვდება წვი-  
მის წყლის საგუბარ ადგილებში. იმდენი ბერ-მონა-  
ზონი, რამდენიც ცხოვრებდნენ დავით გარეჯელის  
უდაბნოებში, მთელს საქართველოს არც ერთ მონას-  
ტერში არ ყოფილა. როგორც გარდმოცემით ვიცით,  
მე-**XVII** საუკუნეში შაპ-აბაზმა დახოცა დავით გა-  
რეჯელის მონასტერში ექვსი ათასი ბერ-მონაზონი.  
და ამ დროიდან, როგორც ვიცით, გავერანდნენ ეს  
უდაბნოები. ამ მონასტრებს ჰქონდათ საკუთარი  
უძრავი მამულები, რომელნიც შეწირული იყვნენ,  
როგორც სასულიერო ისე საერო მთავრობათა და  
და კერძო პირთაგან. ხ'ანებულ სავანეებში აზნაურთა  
და სასულიერო უწყების შეიღები იღებდენ გა-  
ნათლებას.

ძევლი სიგელები და ხელთ-ნაწერები დავით  
გარეჯელის მონასტრისა, გარდა ზოგიერთა სიგელე-  
ბისა, რომელნიც მოთავსებული არიან კავკასიის  
არქეოლოგიური კამისიის პირველ ტომში, დღემდის  
გამოკვლეული არ არიან და ამიტომ ხსენებულ მო-  
ნასტერში მცხოვრებ ბერ-მონაზონთა ცხოვრების  
სინამდვილით აღწერა არ შეიძლება. ჩვენ ხელთ არა  
გვას ამ მონასტრების რიგიანა აღწერა, გარდა მუ-  
რავიერის აღწერილობისა, სახელად «საქართველო და  
სომხეთი». ჩვენის აზრით ვრცელი და დაწვლილებითი  
აღწერა დავით გარეჯელის ყველა სავანებისა ცხა-  
დათ დაგვინახვებდა მთელი საქართველოს ბერ-მო-

ნაზონთა შინაურს ცხოვრებას. რადგან ამ მონასტრის  
შესახებ ხელთ არა გვაქვს სხვა უკეთესი ცნობები,  
ამიტომ დღეს გვსურს შეითხვევლოთ მივაწოდოთ და-  
ვით გარჯელის უდაბნოს შესახებ ის ცნობები, რო-  
მელნიც მოყვანილი აქვს უ. მურავიევს თავის აღწე-  
რილობაში. მურავიევი გამგზავრებულა დავით გარე-  
ჯელის სავანეებში ითანხმებოდა ნათლის მცემლის მონას-  
ტრიდან და თან წაუყანია იოსელიანი. ის რას  
ამბობს ბ. მურავიევი: „ჩვენ უნდა გაგვევლო ფრიად  
ცუდი გზა, რომელიც მიღიოდა მთებზე და ლელე-  
ებში, სადაც კი შეიძლებოდა ცხენით გავლა, ეს გზა  
მიჰყვება მთის ჩიხრაზულ ფერდოებს და ხან კლის  
ციცაბოებს. სანამ დავით გარეჯელის ხეობაში შე-  
ვიდოდით, მთების მღლობზე გამოჩნდა ერთი კოშკი  
ჩიხეიტაურის უდაბნოსა, სადაც დღეს არავინ არ  
ცხოვრობს. აქ აღარაფერი არ დარჩენილა, გარდა  
ორი ნახევრობით დანგრეული ეკლესისა, რომელ-  
ნიც კლდეებშია გამოქვაბული და რომელთაგან უმ-  
თავრესი აგებული ყოფილა წმ. მოწამის იაკობის  
სახელზე. აქედან ჩვენ გაუშვით ეტლი მონასტერში,  
ხოლო მგზავრებმა ფეხით გავიარეთ მთის წვეროზე  
ამ ნანგრევების მახლობლიად და მივედით შესანიშნავ  
მღვიმეთა უდაბნოში ანუ მოწამეთაში, რომელიც  
გამოქვაბულია კლდეში და ეს კლდე თავს დაჩერე-  
ბია წმ. დავით გარეჯელის უდაბნოს. ამ უდაბნოს  
წინამდლვარი შემოგვეგბა მგზავრებს ეკლესიების  
ნანგრევებთან და გვიჩვენებდა კლდეში გამოქვაბულ  
ეკლესიებს. პირველად წინამდლვარმა მიგვიყვანა პა-  
ტარა ტაძარში, სადაც ეპკლესის შეუა ადგილს  
ვნახეთ ტრაპეზი და სამსხვერპლო, რომელნიც მი-  
შექმნებული არიან აღმოსავლეთის კედელზე და ჩათზე  
ეკლესიური მორთულების ნაცვლად აწყვია კაცის  
მჭვლები, რომელნიც ჯავარის სახეო არიან შეართო-

„ამ მძვლების გამო დარქმევია ამ მონასტრებს მოწამეთა, გვიამბო წინამძღვარმა. დაკვირდით ამ ძვლებს, რომლებზედაც დღესაც კარგად ამჩნევია დაჭრილობა. ეს ძვლები არი მოწამეებისა, რომელთაც თავისი სიცოცხლე შესწირეს ქრისტეს. აქ მხოლოდ ცოტა მძვლებია შეკრებილი, მაგრამ თქვენ გაოცდებით, როცა შეიტყობთ, რომ ამ ადგილს დახოცილ იქნა ექვსი ათასი მოწამე. ამ თორმეტი სავანის ძმანი ჩვეულებისამებრ ყოველ შაბათობით იკრიბებოდენ ამ სავანეში, რომელიც ყველა სავანებზე დიდი იყო და აქ დღესასწაულობდენ ამ სავანის

ტაძრის დღეობას. ყველა ეს ექვსი ათასი ძმანი ერთად იქრიბებოდენ, ხელში ანთებულ სანთლებს იკერდენ და ამ სახით გარ შემოუვლიდენ ხოლმე მთის წვერზე არსებულ პატარა ეკალესიას, რომელიც უფლის სასაფლაოს მზგავსად იყო აშენებული და თან გალობდენ: «ქრისტე აღსდგა მკვდრეოთ ა-ს, იმ ღრმის მდინარე მტკვარის შორეული ნაპირიდამ შაპ-აბაზმა დაინახა ანთებული სანთლები და იყითხა: «ეს რა ცეცხლია?» პასუხად მიიღო: დავით გარეჯელის უდაბნის ძმანი დღესასწაულობენ წმ. პასექს». დახოცეთ ისინი, სთქვა მძვინვარე შახმა და მისი ბრძანება მაშინვე სისრულეში იქნა მოყვანილი. ამ დღიდგან სთქვა წინამდლვარმა, გველურდა უმეტესი ნაწილი აქაური სავანეებისა, მათგან მხოლოდ ორი დარჩა: იოანნე ნათლის მცემელისა და დავით გარეჯელისა». შემდეგ სავანის სხვა ტაძრები დავათვალიერეთ. ზოგიერთებში შესვლა შეუძლებელი იყო; ვინაიდგან კიბები ჩანგრეული იყო, ზოგი ეკალესიები კი მიწით იყო ამოვსებული მოგზაურნი ჩაეცვით ციცაბო კლდეებზე და ვიწრო ეკალესიდამ შევედით უფრო ვრცელს და განათებულს სამების ტაძრში. კედლის მხატვრობა ამ ტაძრში ჯერ კიდევ დატულია. აქ კედლის მხატვრობა მეფე ბაგრატ IV და ქათალიკოსის იოანნესი, რომელიც ეკალესის გეგმას უდგენენ დავით გარეჯელს, ამტკიცებენ, რომ ხსენებული ეკალესი ვამოქვაბულია კლდეში იუთხმეტი საუკუნის დასასრულს. ეკალესის მახლობლად, წმ. გიორგის პატარა ეგვტერში ქვის იატაკზე ამჩნევია სისხლის წვეობი ბერ-მონაზენისა, რომელიც შაპ-აბაზის მხედრების მიერ იქნა მოკლული. ცოტა მოშორებით ვნახეთ ვრცელი ტრაპეზი, რომელიც შესანიშნავია თავისი მოყვანილობით. სამი თაღი შეადგენს შესავალს გამოქვაბულის სილრმეში და მათზე დახატულია სიმეონ მესვეტე. შესავალში პატარა ეგვტერია, ხოლო ტრაპეზის შიგნით სიგანეზე გამოჭრილია კლდეზე მაგიდები და ძმათა დასასხლომი აღგილები. შემდეგ კიდევ გამოჩნდა ვრცელი ეკალესია, რომლის შესავალი კარები მთლად მიწით იყო ამოვსებული. წინა კედლის, რომლიდამაც შესავალია, გამოხატულია წმ. დავით გარეჯელის ცხოვრებიდამ ზოგიერთი მისი მოღვაწეობანი და მათ ზემოთ დახატულია შეფეხბი, რომელთაც განუახლებიათ ეს სავანე, იგივე ბაგრატ IV და ქათალიკოსი იოანნე, რომელთაც ხელში უჭირავთ ტაძრი, და

დედოფალი თამარი მეულლით და ძით. ტაძრის შიგნით მხატვრობა თითქმის მთლად წაშლილა, მაგრამ კიდევ შენიშნავთ საქართველოს ეკალესის ზოგიერთ წმიდანებს და მათ შორის ნინოს... ცხადათ ჩანს, რომ ეს ეკალესი ყოფილა ყველაზე დიდი და შეიძლება სავანის საკათედრო ტაძარიც იყო იგი.

შემდეგ ხელახლად მთის წვეროზე იმოვედით და დავათვალიერეთ ორი დანგრეული ეკალესია, აქვე მგზავრებმა შევნიშნეთ ჩვენ ქვემოთ ქვის უწყლო სავანე წმ. დავითისა. გზა მიღის ბილიკზე, ციცაბოების ნაპრალში, რომელიც თანდათან განიერდება და წარმოადგენს გარეჯელის ხეობას, სადაც კლდე შუა მთაში გამოაღინებს წყაროს ბნელ თაღებისაგან, რომელსაც ეშოდება „დავითის ცრემლები“. აქ ზემო საყარაულო კოშკი აშენებულია განსაკუთრებულ ციცაბოზე ბალის ნაპირის. ნახევრობით ღანგრეულ გალავანზე აშენებულია კიდევ ორი სხვა კოშკი. მონასტრის შინაგანბაზა, მოთავსებულიკლდის სამ ბაქაზე. ზემო ეზო ერთის მხრით შემოზღუდულია კლდეებით, ხოლო მეორეს მხრით გალავანით და მეფე ალექსანდრეს კოშკებით. გარეშემო შემომწკრივებულია ჩიტის ბუდეებივით მონაზონთა საცხოვრებელი ოთახები. წმ. დავითის ეკალესია საკმაოდ ვრცელია და ნათელია; კედლის მხატვრობა გათეთრებულია მონასტრის განმახლებელის მიერ. კანკელი ხალია და ვერცხლის კანდელები მოწმობენ, როგორც ნათლის მცემლისა, უკანასკნელი მეფის გიორგის მართლ-მორწმუნებისა, ეს მეფე დიდ პატივს ცემდა დავით გარეჯელის სავანეს. ეს ეკალესია დიდებულად იყო მორთული მე-XI საუკუნის დამლევს მისი წინამდგრადის წმ. ილარიონისაგან, რომელიც ბრწყინვადა ბერ-მონაზენური ცხოვრებით არა მარტო სამშობლოში არამედ პალესტინასა და ოლიმპის მთებზე, სადაც გაიქცა, მიატოვა რა საეპისკოპოსო კათედრა და რომელიც გარდაიცვალი სოლუნში, როცა რომიდამ უკან ბრუნდებოდა. საკრებულო ტაძრის კლდის ზემოთ აგებულია პატარა ეკალესია წმ. ნიკოლოზისა, რომელიც აშენებულია კახეთის მეფის მონაზონის ალექსანდრესაგან. ეს ეკალესია შესანიშნავია მარტო თავისი დამაარსებელის სასაფლაოზე დიდის გავირვებით შეიძლება გავარჩიოთ წარწერა ალექსანდრესი, რომელიც ორი წლის განმავლობაში სცხოვრებდა ამ მონასტრებში და დიდის მოწიწებით

ასრულებდა ბერ-მონაზონთა წესრიგს, აი რა აწერია სასაფლაოს ქვაზე: „სახელითა ღვთისათა მე, მეფე ალექსანდრე, მოვიქეცი ღირსი დავითის სასაფლაოზე და გავაშვენე იგი სიყვარულობით როგორც სამოთხე. და მექნეს მე მასში განსვენებული შუამდგომლად და მფარველად წინაშე უფლისა“. მრგვალი კოშკი, რომელშიაც ალექსანდრე სტევრებდა, ხოლო დღეს კი სალაროთ არის დანიშნული, მდებარეობს ზემო ეზოს შუა. კოშკი მშვენიერი ნაშენია და შიგნით კოშკის ჩუქურთმიანი თაღების გარდა დაცულია კედლის ზოგიერთი მხატვრობა. ეს სალარო დღესაც კადევ საკმაოდ მდიდარია მარგალიტებიანი შესამოსლებით, ოქროს ჯვრებით, ხატებით და ჭურჭლებით, თუმც ლეპები ხშირად არბევდენ ამ მონასტერს. მონასტერში ბლომად არის დაცული ძველი თოფები და შაშხანები, რომლებიც მოწმობენ, რომ დღესაც მონასტერი თავისუფალნი არ არის მტერთაგან. მუ-რავიერი ამბობს, რომ ამ მონასტერში ბლომად არის დაცული ძველი ხელთ ნაწერებით, რომელნიც სა-ყურადღებონი არიან, მაგრამ ვინაც ქართული ენა არ იცის, მისთვის შეუძლებელია იმ ხელნაწერების გაგებათ.

იმ კლდეში, რომელიც ზემოდაც დაჰყურებს მონასტრის ეზოს, გამოქვებულია ერთი ვრცელი ეკკლესია ილანწე ღვთის-მეტყველისა, რომელშიაც ორი დიდი ტრაპეზია იქით-აქეთ მხარებზე. ამ ეკკლესიაში დღესაც ხელ-უხლებლად დაცულია ტრაპეზი, საკურთხეველი და კანკელი, რომელიც ეკუთვნის უკანასკნელი მეფე გიორგის დროს. ამ მეფემ დამარხა აქ თავისი პირველი მეუღლე ქეთევანი. არის კადევ ორი პატარა ეკკლესია მიძინებისა და მოწამე მარინესი, რომელნიც გამოქვაბულნი არიან კლდეში გალავანს გარედ.

(დასასრული შემდეგ №-ში).



## ახალი მშები და შერი შენება.

უურნალი „კრებული“ აკაკისა იანვრის წიგნი, უკვე გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ. უურნალში მოთავსებული არის შემდეგი მასალა:

შერგები განულებიდან: 1, საგულისხმოდ—ლექსი აკაკისა. 2, უბრალო საუბარი მისივე. 3, თავ-გირგი მუხრან-ბატონის სახეს—ლექსი კოლხიდელისა, 4, პალეოგრაფიული მინუშების გამო—მოსე ჯანაშვილისა. 5, „სისულელე!“—ეტიუდი შ. არაგვის-პირველისა. 6, კრიტიკული შენიშვნები ხომლელისა. 7, ქუთათური ივები ხრიკა და ლრიკა—აკაკისა. 8, ბუტიაობა—ვოდევილი აკაკისა. 9, შვიდ ფერობა ახალ-წელი და ბედობა—ვინმე მესხისა. 10, ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი—ე-ისა.

შეთაუ განულებიდან: 1, სოფელი ქურთა და იმისი მიღამოები—ა. მაჩაბლისა. 2, სხვა-და-სხვა თქმულებანი: არაკები, ხალხური ლექსები, სოლომონ ბრძნის ამბები, ზოგიერთი ჩვეულება, იქვე ჩაწერილი—მისივე. 3, ცხენის ლექსი და ანბანზედ თქმული ლექსები. გუბში ჩაწერილი ი. მოსე შევილის მიერ. განცხადება.

როგორც შეითხველი შენიშნავს, ძლიერ საგულისხმო შინაარსის სტატიები არის მოთავსებული ამ №-ში და იძედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგშიაც საგულისხმო მასალას მიაწვდის იგი მკითხველ საზოგადოებას, რადგან ყველას მიეკა ნება ამ უურნალში თავის ნაშრომის დაბეჭდვისა. უურნალი შეხერებული იყო სექტემბრიდღან იმიტომ, რომ როგორდაც მოუხერხებელი შეიქნა წლის დაწყება ამ თვიდგან. და ამ გარემოებამ კი ბევრს მიზეზი მისცა უსაფუძვლო ხმების დაყრისა, რომ აკაკი უურნალს ველარ გამოსცემსო. ეხლა კი ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ეს ხმები უსაფუძვლოა, და, იძედია, საზოგადოებაც აღმოუჩენს ამ უურნალს თავის ჩვეულებრივს თანაგრძნობას.

ჩვენ მივიღეთ რამდენიმე წიგნაკები, გამოცემული იოსებ ლექსას მიერ. ეს წიგნები ყველა ზეობრივი შინაარსის არიან და ძლიერ იაფადაც იყიდებიან. აგრეთვე მივიღეთ სხვა-და-სხვა წიგნაკები, გამოცემული მორჩილის ბირ-მაძის მიერ და უდაბურ

წყალ-წმიდის ძმობისაგან. საზოგადოდ უნდა სოქვას კაცმა, რომ ყველა ამ წიგნაკების გამომცემელთა ეჭვი არ არის, რომ მშვენიერი მიზანი აქვთ და შეძლებისა და გვარად რითაც შეუძლიათ შრომობენ და ხელს უწყობენ წიგნაკების კითხვის გაფრცელებას ჩვენ ხალხში, მაგრამ როგორც სჩანს, მეთაური არა ყავსთ. ხშირად ამ წიგნაკებში ნახავთ ისეთ წმიდანების აღწერას, რომელნიც ჩვენმა ხალხმა არ იცის და სრულიად არ ცდილობენ იმისთვის წმიდანების ცხოვრების აღწერის გავრცელებას რომელიც საქართველოს ეკულესის მნათობებად ინიშნებიან.

14 იანვარს, ამ შესანიშნავ დღეს მთელი საქართველოსათვის, მოციქულთა სწორის საქართველოს განმანათლებელის ნინოს დღეობა მრავალს ადგილს იდლესასწაულებს. სასულიერო სასწავლებლებში ამ დღეს არ ყოფილა სწავლა და დღესასწაულობდენ, მაგრამ საერო სასწავლებლებში ეს დღე შესამჩნევ დღედ არ მიაჩნიათ და არ დღესასწაულობენ. ამ ღღეს ტფილისის სიონის ტაძარში მწირველი ბრძანდებოდა ყ-დ სამღვდელო ლეონიდი, რომელმაც მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა. ეს სიტყვა მოთავსებულია ამავე ნომერში. ამავე დღეს კავკავშიც რიგიანად უდღესასწაულებიათ ქართველების ტაძარში, როგორც ვტყობილობთ ცნობის ფურცლიდან. მწირველი ბრძანებულა ყოვლად უსამღვდელოები ვლადიმერი, ეპისკოპოსი კავკავისა და მოზდოკისა. თანამწირველად ეპისკოპოზისა ბრძანებულან იმავე ეკულესის მღვდელი ბ-ნი გ. ნათაძე და ერთი სობოროს მღვდელთაგანი, დანარჩენ კრებულითურთ წირვაზე უგალობნიათ რესულ ენაზე სობოროს გუნდს და ქართულზე ადგილობრივ ქართული სკოლის მოწაფეთა გუნდს ლ. ბოკვაძის ლოტბარობით. მის ყოვლად უსამღვდელოებობას წირვაზე რამდენიმე ასამაღლებლები ქართულ ენაზე წარმოუთქვამს. ხალხი ბლომიდ დასწრებია წირვას.

ქუთაისის საქალებო გიმნაზიის ეკულესიაში 14 იანვარს მწირველი ბრძნდებოდა რეკტორი სემინარიისა არქიმანდრიტი ბენიამენი კათედრის ტაძრის დეკანოზის ი. კიკაჩიშვილის, გიმნაზიის საღმრთო-სჯულის მასწავლებლის ა. გიორგაძის თანამწირველობით, წირვის შემდეგ ჩვეულებრივად იყო წაკითხული ანგარიში და ამის შემდეგ მოსწავლებმა

წიაკითხეს ლექსები, იმღერეს და დაუკრეს როიალზე სხვა-და-სხვა სიმღერები. თუმცა მოსწავლეთა მშობლები ბლომად დაესწრენ, მაგრამ ქართულად არაფერი არ გაუგონიათ, არც სიმღერა და არც კითხვა. ცხრა საათიდან მოწვეულნი იყვნენ ზოგიერთი საპატიო პირი და კლასიკური გიმნაზიის რამოდენიმე მოწაფე და ცეკვა-თამაში იყო გამართული, რომელმაც კარგა ხანამდის გასტანა.

დღემდის სასულიერო სასწავლებლებში პენსიის დამსახურმბის შემდევ თუ ვინმე მღვდლად წავიდოდა, დამსახურებული პენსია არ ეძლევოდა მღვდლობაში. მარტო მღვდლობის ჯამაგირი ეძლეოდა. თუ მღვდლობის ჯამაგირი ნაკლები იქნებოდა დამსახურებულ პენსიაზე, მაშინ რაც პენსიას აღემატებოდა, იმას იღებდა. დღეს კი უმაღლესად გამოვიდა ბრძანება, რომლის ძალით სასულიერო სასწავლებლებში პენსია დამსახურებული პირი თუ მღვდლად წავიდოთა და იგივე დროს დამსახურებულ პენსიისაც მიიღებს და მღვდლობის ჯამაგირსაც. ეს ამბავიძლიერ სასიარულოა ერთი იმიტომ, რომ კაცნამსახური შრომა არ ეკარგება და მეორეც იმიტომ რომ დღეიდგან სასწავლებლებში მასწავლებლებად მოსამსახურნე პირი პენსიის დამსახურების შემდეგ სიხარულით წავლენ მღვდლად და ასეთი პირი დიდ სამსახურს გაუწევენ საეკულესიო-სამრევლო სკოლების საქმეს.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქართლ-კახეთის ეპარქიაში ხუთი ადგილია დაცლილი მღვდლისა. სემინარიაში კურს დამთავრებულთ ეძებენ და ვერ უშოვიათ. იმერეთის და გურია-სამეგრელოის ეპარქიებში კი ბევრი სემინარიელი უადგილობისა გამო თრისამი წელიწადი ელოდება მღვდლობის ადგილს და ზოგი მაშინაც ვერ შობდს. საქართველოს ექსარხოსი მაღალ ყოვლად უსამღვდელოები. ფლაბიანე ყველა სემინარიელს სიხარულით აძლევს ადგილს, იმერელი იქნება იგი, თუ მეგრელი. ამიტომ ვურჩევთ უადგილოდ მოსიარულე სემინარიელებს, რომ ქართლ-კახეთში წავიდნენ მღვდლად. ამ ეპარქიაში შტატის ეკულესიას ხშირად 200—სამასამდე კომლი მრევლი ჰყავს და მასთან შემოსავალიც უკეთესია, ვინემ იმერეთის და გურია-სამეგრელოის ეპარქიებში.

მათმა მეუფებამ იმერეთის ეპისკოპოსმა ბერიონმა თავის საფასიო გამოსცა კურნლიდლის ძეველი ხელთ-ნაწელი ქადაგებანი. ეს ქადაგება მშვენივრად არის დაბეჭდილი და ლირს მანეთ ნახევრად. ეს ქადაგება სამრევლო სკოლებს და მათ მასწავლებლებს თითო მანეთად დაეთმობა.

ის ხმები გაზეთის ახალის მიმოხილვისა, ვითომუ ეპისკოპოსი გრიგორი აფხაზეთის ეპარქიაში ინიშნებოდეს ეპისკოპოსად, ტყვილია, და არავითარ სიმართლეს არ დაიმსახურებს.

ხმებია, რომ საჩხერის საბლალოჩინო მაზრა ორ საბლალოჩინოდ იყოფა.

კედლის კალენდარი, რომელსაც „მწყემსი“-ს რედაქცია დაპირდა უურნალზე ხელის მომწერთ, თებერვალში გაეგზავნება ყველას.

მათი ყოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი ბესარიონი ახალ წლის მეორე დღეს უქეთებდ შეიქნა ინფლუენციით, მაგრამ კარგი ექიობისა და მოვლის წყალობით მათი მეუფება მაღა მოუმჯობესდა. მაგრამ რადგან წლის დამლევს ბევრი საქმები შეხვდა და მასთან მათ მეუფებას მთხოვნელებიც ხშირად აწუხებდენ, ავადმყოფობა შეუბრუნდა, რის გამო მათი ყოვლად უსამღვდელოესობა დღესაც უქეთებდ ბრძანდება. რვადმყოფობის კრიზისმა უკვე გაიარა და დღეს მხოლოდ მარტო სისუსტეს გრძნობს. ყოვლად სამღვდელოს ექიმობდა ექიმი თოფურია.



**სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობის სარწმუნოებასა და კეთილგანვითარებაზე.**

## სიუფავა,

თქმული 14 იანვარს, ქართველთა განმანათლებელ წმ. ნინოს დღესასწაულის დღეს, სიონის ტაძარში გორის ეპისკოპოსის ყოვლად უსამღვდელოესის დეონიდეს მიერ.

გიხაროდენ დაუდუმებლად მქადაგებელო საღმრთო ბაგეო!

(ნინოს დაუჯდომელიდგან)

ღვთის მზრუნველობამ და განუსაზღვრელმა სიყვარულმა ძეველათვე ჰყო ჩენი სამშობლო ყოვლად წმიდა ღვთის მშობლის წილ ხდომილად, ხოლო ღვთის-მშობლის ზეციურმა მხურვალე მეოხებამ მოუვლინა საქართველოს სხივ-მოსილი ცისკარი, რომლის სახელიც ყოველ შეგნებულ და გონიერ ქართველს ღრმად აქვს ამოჭდეული გულის ფიცარზედ და მიაჩნია სალოცავ სათაყფანოდ. თქვენ უკვე მიხვდით, ვისაც ვგულისხმობ, ცხადად ეხედავ, რომ ამ სიტყვებთან ერთად წარმოგიდგათ გონებაში ჩენის განმანათლებლის, მოციქულთა სწორის, წმინდა ნინოს ნათელ-მოსილი სურათი მთელის მიას სიღიადით. წმიდა ნინო! ოჲ, რამდენ მაღალ და საღმრთოს, რამდენ გამამხნევებელს და ფას-დაუდებელს, რამდენს სანუგეშო და სანეტარო რამეს აგონებს ქართველის გულს ეს მოკლე და ჩვეულებრივი სახელი!.. რომელი ქართველია, წერა კითხვის მცოდნე მაინც, რომ არ უწყოდეს, რა საოცარი, რა დაუვიწყარი, გონებით მიუწოდომელი და სასწაულებრივი საქმე ჩიიდინა ამ სუსტმა და უსახსრო არსებამ, აღფრთოვანებულმა მხოლოდ ქრისტეს უსაზღვრო სიყვარულით და აღჭურვილმა მარტოდ მისის პატიოსანის ჯვარით? წმინდა ნინოს ღმობიერება-სათნოებით აღსილმა ქცევამ,



მისმა ნამდვილმა დედობრივმა სიყვარულმა დაიმონავა სრულიად მაშინდელის ქართველების კერპთ თაყვანის-მცემლობისაგან გამხმარ-გაცივებული, სასტიკი და განუკითხვი გრძნობა, მისმა ნათელმა, მარტივმა, დღესავით გარკვეულმა და ყველასათვის იდვილად მისახვდერმა მოძღვრებამ შეიძყრა საქსებით იმ დროის ქართველთა გონება და როდესაც ამ სახით ეს რჩეული დედა შეიქმნა მთელის ერის გრძნობა-გონების სრულ მეფედ, ერთად-ერთ ბატონად, და ბრძანებელად, რასაკვირველია, აღარაფერს სიძნელეს აღარ წარმოადგენდა მისთვის ამ ერის გაქრისტიანება, მისი სამუდამოდ დაკავშირება და საბოლოოდ შეერთება უკვდავის ძარღვით იმასთან, რომელმაც ბრძანა: მე გარ გზა, ჭეშმარიტება და ცხავრება-ა.

ავერ 1600 წელიწადი სრულდება მას უკან, რაც ამ საქართველოს ანგელოზმა მისჯაჭვა სულითა, გონებითა და გულით ქართლოსის ძენი კაცთათვის განხორციელების ღვთის სიტყვას და ამოდენა ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ შერყეულ-მოდუნებული ქართველთა ერთგულება და სიყვარული ღვთის სიტყვის მიმართ, არ ახსოეს ისტორიას არც ერთი შემთხვევა, რომ ქართველებს ელალატნოთ ნინოს მოძღვრებისათვის, აელოთ რაიმე ეჭვი ამ მოძღვრების შეურყეველ სინამდვილეზედ და დასდგომოდნენ ორგულობის გზას. სამაგიეროდ, იმავე ისტორიას არ ახსოეს ან ახსოეს და ძალიან ნაკლებად იმისთანა მაგალითი, რომ ქვეყნის რომელსამე კუთხეს, კაცობრიობის რომელსამე ნაწილს გადაჭედენოდეს იმდენი ძარცვა-რბევა, იმდენი ხაცვა-განადგურება, როგორც საქართველოს და ქართველებს, და, ამისდა მიუხედავად, იგი კუთხე არ გამხდარიყოს უდაბნოდ და გარეულ მხეცთა ხაცხოვრებელ ალაგად, იგი ხალხი არ გამქრალიყოს სრულიად, ან არ გადაქმნილიყოს მხეცთა მსგავს ცელურ ბრბოთ. საქართველო-კი, ამის ნაცვლად, დღესაც მოჭედილია იმისთანა საოცნებო, ცის მსგავსის ტაძრებით, როგორიც არის სვეტი-ცხოველი მცხეთაში, ალავერდი—კახეთში, სიონი—ტფილისში და მრავალი სხვა. ქართლოსის ძენი დღესაც ისმენენ წმიდა სახარებას იმ სამურ, მკაფიო, სიმშვენით სავსე, პატიოსნებით შემკობილ და ყოველის აზრის ზედმიწევნით, სრულის სინამდვილით გამომეტყველ ენაზედ, რომლითაც ღირსმა დედა ნინომ გა-აცნო მირიანს და მთლად მისს სამფლობელოს იესო მაცხოვარი. ღიალ, საკვირველია და ყველასაც უკ-

ვირს ეს გარემოება, მაგრამ ამასთან ყველასა სწავლი და აღიარებს, რომ ეს საოცარი მოვლენა არის პირ-დაპირი შედეგი წმიდა ნინოს ქადაგებისა, ყველაფერი ესე მოხდა იმის გამო, რომ საქართველოში არასოდეს არ დადუმტებულა მოძღვრებისაგან წ. ნანოს საღმრთო ბაგე, არასოდეს არ მოჰკლებიათ, და დღესაც ისევ ცხადათ ესმით ქართველებს თავიანთის განმანათლებელის უკვდავი, სამარადისო, ნეტარ მყოფელი და საწადელი სწავლა-მოძღვრება. მაშ რა არის, თუ არ ცოცხალი და წმინდა ნინოს პირადი სწავლა-მოძღვრება, თუ არა იგივე ნინოს პირიდენ გადმომდინარე ქადაგება ეს დღევანდებლი სადღესასწაულო გამოსვენება წმინდა ჯვარისა, იმ ჯვარისა, რომელიც უტარებია ნანოს თავისის ხელით, რომელიც შეკრულია მისის თმის ნაწინებით, რომელიც მოწიმეა მირიანისა, დედოფალის ნანახი, ქართველთ მთავრებისა და მთლად ქართველის ერის ნათლისლებისა მცხეთაში, ქართველების იორდანე-მტკვარში!

ნუ გამოვაკლდებით, საყვარელნო შვილნო, ჩვენ წინაპართა ბრწყინვალე გუნდს, ფართოდ გაულოთ ჩვენც მათებრ ყურა-სმენის კარი ჩვენის განმანათლებელის დღევანდლამდე დაუდუმტებელ ქადაგებას, ვასწავლოთ ჩვენს შვილებსაც ამ საღმრთო მოძღვრების დაუზარებლად სმენა-დამარხვა, ვიხაროთ კვლავაც დღევანდებურის საღმრთო სახარულით და შევძლვნათ ჩვენს სასიქაღლო დედას ასეთი გალობა. „გიხა-როდენ დაუდუმტებლად მქადაგებელო საღმრთო ბა-გეო“! ამინ.

## ო ქახის კერა

მამა ქაცი და დედაკაცი.

I.

(რუსულიდან)

გაგრძელება \*.

ცოლები.

აი კიდევ მაგალითი ელისაბედ ფრეისა. ოცის წლის იყო, როდესაც ქმარს გაჲყვა 1800 წელს, და რამდენიმე ხნის შემდეგ დიდი ოჯახისა და ჯალა-

ბაბის დედად გახდა. მაგრამ მისმა თავგანწირულმა  
შრომამ ნიუგეტში სიღნეი სმიდცს ცრემლები მოჰ.  
გვარა აღტიცებისაგან, რომელმაც ეს სიტყვები უძღვნა:  
«ერთი მისი შეხედვა იმ დროს, როდესაც ხელ-აპ-  
ყრობილია და ღმერთს ლოცულობს, მისი სიყვარუ-  
ლიანი და გამამხნევებელი გამოშეტყველება, მისი  
გამაცოცხლებელი და ტკბილი ხმა საწყალ პატი-  
მართა მიმართ, რომლებიც სამოსელზე ეხვევიან,  
აღმერთებენ მას, როგორც ერთად-ერთ მათვის  
გულშემატკიცვას და სიბრალულით სავსეს არსებას,  
მათ დამრიგესა და მაცხოვარზე მოსაუბრეს—სიხარუ-  
ლისაგან აგაურებოლებთ, და სასიამოენო სურათს  
წარმოგიღენთო». მაგრამ ამ მუშაქსა და საზოგადო  
მოღვაწეს, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ინგლი-  
სი, არ დასუსტებია ერთგული მეულისა და ნაზი  
დედობრივი მოვალეობის ასრულება.

ბევრნი იმ აზრისანი არიან, რომ ვითომეც, ნას-  
წავლი დედაკაცები გულცივი მეუღლენი გამოდიო-  
დენ, ოჯახისათვის გამოუდევარნი იყენება. ჩემის შე-  
ხედულებით ეს აზრი არავითარ საბუთზე არ არის  
დამხარებული. ყველას წაკითხული ექნება ქ ნი კარ-  
ლეილის სიტყვები, რომლებიც უფრო საფრთხილოდ  
მწერალ ქმრებს სთვლის. ის ურჩევს ახალ გაზდა  
ქალებს, რომ არას გზით არ მისთხოვდენ მწერლებს.  
მეორეს მხრით ყველას გაგებული ექნებათ კაპიტანი  
გიმანსის საჩივარი. ეს კაცი გამოჩენილი პოეტი-  
ქალის ქმარი იყო, და ამბობს, რომ მე როგორც  
შესანიშნავი ადამიანის ქმარი იძულებული ვარ უფო-  
ლაქო პერანგი ვატაროვო. ეჭვი არ არის, რომ ის  
უფრო მეტი დამნაშავეა ამ საქმეში, ვინემ ცოლი,  
მაგრამ სწორედ ამ დროს დაქორწინდენ გამოჩენილი  
პოეტი რობერტ ბრაგნინგი და პოეტი ქილი ელი-  
საბედი. ამ ქალის სიკედილის შემდეგ დაქვრეცხებულმა  
ქმარმა რამდენიმე ლექსები დასწერა, რომლებშიაც  
გამოსთქვა თვისი მწერარება და დიდი დანაკლისი  
ცოლის დაკარგვისა გამო. თითოეული სტრიქონი  
ამ ლექსებისა სავსეა გრძნობიერი და მხურვალე სი-  
კარულით დაკარგული ცოლისადმი. თითონაც ვერ  
წაკითხავდა ამ ლექსებს დამშვიდებით, ისე რომ  
ცრემლები არ დაებნა, და მე მგონა არც ერთ  
მსოფლიო მწერალს არ დაუსურათებია ისე სავსებით  
ღრმა იდეალი დედაკაცისა, როგორც მეუღლისა,  
როგორც რობერტ ბრაგნინგმა დაგვიხატა. როგორც  
სიანს, მას გულ-დადებით, ღრმად შესტავლია და

შეუთვისებია ცოლ-ქმარის დამოკიდებულება ერთ-  
მანერთ შორის. ეს ოფისება კაცობრიობის ცხოვრე-  
ბისა და სულიერი მდგომარეობისა გატარებულია  
ყველა მის ნაწერებში. მის პოემებში შეგიძლიათ  
ამოიკითხოთ საოცარი აღორძინება სიყვარულისა,  
მდაბალი სურვილებისაგან ჩამქრალი სიყვარული,  
შვიდობიანად დასრულებული დავა ცოლის და  
ქმრის შორის. მისი უკანასკნელი პოემა სავსეა ღრმა  
ლირიკმით: «შეესწყვიტოთ, ჩემო ძვირფასო, დავა,  
კვლავ ნუღარ ვგოდებთ. დევ, იყვეს ყველაფერი  
ძველებურად, იყვავ ტურჭადა გიყვარდე მე». — „იყავ  
ერთგული ქმარი და მფარვიდე მე ყოველი სიცუ-  
დისაგან“. — „გამაგებიყ, ჩემო ძვირფასო, რით და-  
ვიმსახურებ შენს სიყვარულს. მე მსურს, ჩემო სი-  
ცოცხლევ, შენებრ ვილაპარაკო, შენი საფიქრებელი  
მეც მაფიქრებდეს. მე მინდა ჩვენ გვაერთებდეს ხორ-  
ციელ კავშირთან სულიერი ოფისება(კ).».

არც ერთს არ აღუნიშნავს ის წვლილმანები, რომლებიც უხრლავი მანქანებით გვაგდებენ სიყვა-რულის ალში, ან და სიძულვილის მოჩევში. მას კი გამოთქმული აქვს ეს თვის ლექსში „ჩეუბი შეკვარებულისა“: ჩემო სიცოცხლევ, სამის თვის წინედ ჩენ ერთმანერთი მეტად გვიყვარდა, მაგრამ უკურივ მაცდურის მიერ გამოსრულილი ისარი მოხვდა ჩვენს მისუსტებულს აღსა და ორი მეგობარი ერთმანერ-თის მტრად გარდავგაძევია».

მისი ლექსი «წლის შემდეგ», როგორც დანარჩენები, ხავსეა ღრმა გრძნობებითა და აღტაცებით, რომელიც გარემოსაყვავს დამიანის ცხოვრებს მაშინ, როდესაც მის გულს ჯოჯოხეთური კერქხო ედიბა.

„ჩემს დღეში, ვერასოდეს ველარ ვიხილავ იმას  
იმ სახით, როგორიც წინედ ჰქონდა. ჩემს დღეში  
ვერ დავიბრუნებ მს წინანდელ გრძნობებს. ჩვენ  
იღუმალ ერთმანერთს ვატყუებთ. ნუ თუ რაიმე წარ-  
მოვსთვი, ან მოვიმოქმედო ისეთი, რომელმაც [ქმარი]  
გააჯავრა? ნუ თუ მოეწონა მას ჩემი გარეგნობა ან  
მიხვრა-მოხვრა? საოცარია, თუ ყველა ამათ ერთხელ  
მას სიყვარული აუგზნეს, ახლა გული რაღაც გაუგ-  
რიონება?“

მე მგონია ბევრ რასმეს გვასწავლის ბრაუნინ-  
გის პოემა «დედა კაცი, ოოგორც მეუღლე», რო-  
მელაც დაწერა დედაკაცების საზოგადო მდგომარე-  
ობის გამო. მაგრამ ამის მიხედვით უმართებულოდ  
არ უნდა მოვძექცეთ ტენისონს. ამას კველაზე უფრო

შეტერი დვაწლი მიუძღვის ქალებას სწავლა-აღზრდის  
შემოღების საქმეში, ვინემ სხვა რომელიმეს. მიუხე-  
დავად იმისა, რომ მისი პოემა «პრინცესა» მდგბიუ-  
რად არის დაწერილი, მან დიდი წინმსვლელობა  
მისკა ქალების უნივერსიტეტებში შესვლის, სადაც  
არა ერთსა და ორს მიუღია მეცნიერის ხარისხი. არა-  
ვის არ დაუწერია იმაზედ უუსრულესი იდეალი გა-  
თხოვილი ქალის ცხოვრებისა, როგორიც მან დაგ-  
ვიწერა.

ჩევნ არც ისე უყურადღებოთ უნდა მოვეძყრათ  
იმ ფაქტებს, რომლებიც გვიმტკიცებენ, რომ თუ  
ზოგჯერ დედაკაცების ზედავლენა გამაკეთილშო-  
ბილებელია, ზოგჯერ (ამ გვარი მაგალითები ჰქონის სას-  
წავლებელი არიან] მეტის მეტი დამღუბელიც არიან.  
ამ გარემოებას გვისურათებს გამოჩენილი პოეტი  
ქალი ქორქ ელიოტი თვის რომანში. კაზოაბოკის  
პედანტიზმა და თავმოყვარეობამ ვერ შეარყიეს მისი  
მეუღლე დოროთეაზი ზნეობრივად, ვერ დასცეს  
სულით, მაშინ როდესაც როზამნგდი თავისი ქმრის  
ცხოვრების ერთი გამხრწნელი ელემენტია თვისი  
შატკუარობით, ქარაფშუტობით და ცუდი საქციელით.

ორმოც-და-თი წლის არც კი იქნებოდა ლიდ-  
გეტი, რომ მოკვდა. ის მარად უამ უბედურად სთვ-  
ლიდა თავის თვეს. ღრმად იტანჯებოდა იმის გამო,  
რომ სასრულეში ვერ მოიყვნა უპირველესი მიზანი  
ცხოვრებისა. მის ნაცნობ-მეგობრებს სურდათ მისი  
ბედნიერება, აღმერთებდენ მის ლამაზს მეუღლეს,  
და დარწმუნებული იყვენ, რომ ეს ცოლ-ქარი ოჯა-  
ხის ბედნიერებით სტკებოდენ. როზამგნდას არაფერი  
ჩაუდენია ისეთი, რომელსაც ჩირქი მოეცნო ქმრისა  
ან მის სახელისათვის. ის წინანდებურად თავისებური  
და შეურყეველი მსჯელობის ქალი იყო, და ხშირად  
უკითხავდა ქმარს დარიგებასა და შენიშვნებს. სიკვ-  
დილის წინედ ლიდგეტი ხშირად ლაპარაკობდა მის  
უმნიშვნელოდ და უსარგებლოდ გატარებულს, და-  
ღუპულს ცხოვრებაზედ. მან ერთხელ თვის ცოლს  
ბაზილიკა უწოდა. ქალმა, სთხოვა აეხსნა ამ წოდე-  
ბის მნიშვნელობა, მანც იუსრულა ეს თხოვნა და  
უთხრა, რომ ბაზილიკა (შაშარი) ერთნაირი მცენარე  
იყო, რომელიც მშვენივრად იზრდებოდა და ყვაოდა  
მკვდარი კაცის ტფინქედო. როზამგნდამ წყნარიდ  
უპასუხა: «რად ამირჩიე ამხანაგად და შენი ცხოვ-  
რების თანამგზავრად მეო».

## ՀԵՇԱՑՈՂԻ ՀԱՍՑԵՐ.

მდ. დიმ. გუბელაძეს. თქვენგან გამოგზავნილი ფუ-  
ლები წარსული წლის ეურნალზე  
ხელმოსაწერი არის და ამ წლისას  
არაფერს იწერებით, ამიტომ ეურნა-  
ლიც აღარ გამოგვევნებათ.

**მღ. ლ. ჩახუს.** დეკემბრის უკურნალი თუ კიდევ არ  
მიგილიათ, მაცნობეთ და გამოგიგ-  
ზარნით.

მდ. იოანნე აღნაუკს. თქვენს სურვილს სიამოვნებით  
გსრულებთ.

მღ. იაკ. ბორჩხეძეს. უკანასკნელი ნომერი ყველას  
გაეგზავნა და ოქვენც გამოგვეზავნათ.  
პრემიას მღვდლის ანდრია ვახანიასა-  
გან მიიღობთ ზუგდიდში.

ბ. ი. ლექსის. უკანასკნელ ნომერს მიიღებდით  
ალბათ დღემდის.

მღ. დ. გაფ—ეს. ძველი შესამოსლები სხვა ღარიბ  
ეკლესიას გარდავეცით და არ იმე-  
ქონება.

კოსტ. გეგმას. ორ მანეთში კალენდრები და წიგ-  
ნები აღარ გამოვევზავნებათ.

საბუდიანს. „პრემია“ თუ არ მიგიღიათ, მიიღებთ.  
მრავალ შარს: ვინაიდებან : მა წლის „პრემიების“  
გაზიარება ცალ-ცალკე ძლიერ საძნე-  
ლო არის და ამასთან სამძიმო რე-  
ლაქციისათვის, ამისათვის ცოტა ხნის  
შემდეგ სანდო პირებს გაუუზიარით  
იმ ადგილებში, საიდანაც ყურნალებს  
იღებენ ხელის მომწერლები. ეს  
პირები დასახელებული იქნება ჩვენი  
რელაქციისაგან და ყველას ადვილად  
შეეძლება „პრემიის“ მიღება.

၁၀၆၁၁၉၆၀

ନେତ୍ରବ୍ୟକ୍ତିଗାମୀମଧ୍ୟରେ ଦେବ. ଡା. ପାଠ୍ୟାଶୁଦ୍ଧ.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 30 января 1899 г. ♦ Цензоръ прот. Е. Е л и е въ.

Типог. редакції журн. „Пастырь“ (Н. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.